



## მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის წარმოდგენა

### რა წესით და რა ვადაში ხდება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირის მიერ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის წარმოდგენა და საშემოსავლო გადასახადის გადახდა?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირის მიერ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის ნაწილში **საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის წარდგენა ხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ამავე ვადაში ხორციელდება შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გადახდა.** ამასთან, თუ აღნიშნული თარიღი არასამუშაო დღეს ემთხვევა, დეკლარაციის წარმოდგენის და გადასახადის გადახდის ბოლო ვადა გადაინევს შემდეგი სამუშაო დღის დასრულებამდე.

**გაითვალისწინეთ,** „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის“ წარდგენა სავალდებულოა იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადასახდელად დასარიცხი თანხა ნულის ტოლია.

**ამასთან,** თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირი დამატებით ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც იბეგრება საერთო წესით, **საქმიანობის ამ ნაწილში იგი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე** წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია.

თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირი ახორციელებს არასამენარმეო საქმიანობის ფარგლებში **ქონების/აქტივის მიწოდებას,** ამ ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში, იგი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ფიზიკური პირის მიერ ქონების/აქტივის მიწოდებაზე საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია, არაუგვიანეს **საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, N11-04<sup>2</sup> დანართის ფორმით.**

### რისგან შედგება და რა ბანაკებით იბეგრება მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი?

მცირე ბიზნესისთვის დადგენილი რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლებისაგან გარდა იმ შემოსავლებისა, რომლებიც „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2010 წ. N415 დადგენილების შესაბამისად არ იბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით.

▶ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი **იბეგრება 1 პროცენტით.**

▶ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი **იბეგრება 3 პროცენტით,** თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს, ხოლო ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტისა და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის შემთხვევაში – 700 000 ლარს გადააჭარბა (გადაჭარბების თვის დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე).

### რა სახის შემოსავლები არ გაითვალისწინება მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 500 000 ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას?

მცირე ბიზნესის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავლის 500 000 ლარიანი, ხოლო ღვინის ტურიზმის საქმიანობის სუბიექტისა და აგროტურისტული საქმიანობის სუბიექტის შემთხვევაში – 700 000 ლარიანი ზღვრის გაანგარიშებისას არ გაითვალისწინება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები და „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2010 წ. N415 დადგენილებით განსაზღვრული შემოსავლის სახეები, რომელიც ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას საერთო წესით.

### რა სახის საქმიანობას შეიძლება ახორციელებდეს დაბეგვრით მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირი?

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირი, სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გარდა, დამატებით, შესაძლებელია იღებდეს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2010 წ. N415 დადგენილებით განსაზღვრულ შემოსავლებს.

#### ასეთი შემოსავლებია:

▶ ქონების იჯარით/უძრავი ქონების ქირით გაცემიდან მიღებული შემოსავალი;

- ▶ სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი;
- ▶ სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები;
- ▶ ჩუქება;
- ▶ ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია უძრავი ქონების, ავტოსატრანსპორტო საშუალების ან ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით;
- ▶ მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი;
- ▶ დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი;
- ▶ პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;
- ▶ როიალტის სახით მიღებული შემოსავალი;
- ▶ ვალის პატივებით მიღებული შემოსავალი;
- ▶ პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;
- ▶ „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სეკ 006-2016-ის“ 41.2 ჯგუფით გათვალისწინებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობის მომსახურების, 42-ე განყოფილებით გათვალისწინებული სამოქალაქო მშენებლობის მომსახურების ან/და 43-ე განყოფილებით გათვალისწინებული სპეციალიზებული სამშენებლო მომსახურების განვითარებით მიღებული შემოსავალი, თუ აღნიშნული მომსახურების მიმღებს წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საწარმო, ორგანიზაცია ან მენარმე ფიზიკური პირი.

ასეთი შემოსავლის სახეები არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ ჩაირთვება მცირე ბიზნესის საქმიანობის ფარგლებში მიღებულ შემოსავალში. ამასთან, ასეთი ტიპის შემოსავლები საშემოსავლო გადასახადით იბეგრება საერთო წესით.

**როგორ გამოიანგარიშება დღგ-ის გადახდელად რეგისტრირებული მენარმე ფიზიკური პირის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალი?**

დღგ-ის გადახდელად რეგისტრირებული მენარმე ფიზიკური პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი, სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებულ დასაბეგრ შემოსავალს გამოიანგარიშებს **დღგ-ის გარეშე**.

**მაგალითად**, თუ საკომპენსაციო თანხა დღგ-ის ჩათვლით შეადგენს 11 800 ლარს, მცირე ბიზნესის საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ შემოსავალი იქნება 10 000 ლარი.

**თუ საკომპენსაციო თანხა დღგ-ის ჩათვლით შეადგენს X ლარს, აქედან:**

**საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი =  $\frac{X}{1,18}$**

{აისახება საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციაში და ამ თანხიდან გამოიანგარიშება გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის თანხა}

**დღგ =  $\frac{X}{1,18} * 18\%$**  {აისახება დღგ-ის დეკლარაციაში და წარმოადგენს გადასახდელად გამოიანგარიშებულ თანხას}

**უფლება აქვს თუ არა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირის ისარგებლოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით?**

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირი უფლებამოსილია ისარგებლოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლით საშემოსავლო გადასახადში დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. ამასთან, თუ აღნიშნული შეღავათი სრულად ვერ იქნა გამოიყენებული სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლის ნაწილში, იგი შესაძლებელია გამოიყენებულ იქნას დამატებით განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის (რომელიც იბეგრება საერთო წესით) ნაწილში.

**როგორ ხდება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირის მიერ საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის წარმოდგენა?**

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება ელექტრონულად, გადასახადის გამომდებელი ელექტრონული პორტალიდან.

**ელექტრონულ პორტალზე შესვლა, რეგისტრაცია და მომხმარებლის/პაროლის აღდგენა შესაძლებელია შემდეგი ბმულიდან:**  
[https://eservices.rs.ge/Login.aspx?redirect\\_url=https://eservices.rs.ge/Login.aspx](https://eservices.rs.ge/Login.aspx?redirect_url=https://eservices.rs.ge/Login.aspx)

# რა მონაცემები შეიძლება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციაში?

ლილაკის „ავტომატური შევსება“ მონიშვნის შედეგად ავტომატურ რეჟიმში შეივსება ცალკეული სტრიქონები შემოსავლების სამსახურის ბაზაში არსებული მონაცემებით, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მონაცემები ექვემდებარება ჩასწორებას და ივსება დარჩენილი სტრიქონები. აღნიშნული ლილაკი აქტიურდება ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 5 რიცხვიდან.

მე-15 სტრიქონში მიეთითება მცირე ბიზნესის საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავალი კალენდარული წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით, საანგარიშო თვის ჩათვლით (ჯამი ითვალისწინებს მათ შორის, საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლებულ შემოსავალს)

მე-17 სტრიქონი ივსება ავტომატურად და აისახება შესაბამისი თვის მიხედვით მცირე ბიზნესის საქმიანობის ფარგლებში მიღებული შემოსავალი, რომელიც ტოლია 18-21 სტრიქონებში ასახული თანხების ჯამს, თუ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი შემოსავლებს და ხარჯებს აღრიცხავს საკასო მეთოდით. დარიცხვის მეთოდით აღრიცხვის შემთხვევაში მე-17 სტრიქონში ასახული თანხა ტოლია 18–22 სტრიქონებში ასახული თანხების ჯამს გამოკლებული 23-ე და 24-ე სტრიქონებში ასახული თანხების ჯამი.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია

პირველადი 2025/01 შევსების ინსტრუქცია

დარიცხვა: 0 შემცირება: 0

შედეგი

### მცირე ბიზნესის საშემოსავლოს ყოველთვიური დეკლარაცია

საშემოსავლო გადასახადის განმარტება(ლარი)

ავტომატური შევსება

კანონიერი საქმიანობიდან მიღებული მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით (15) 0.00

საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი საანგარიშო თვეში: (16) 1.00 %

მცირე ბიზნესით დაბეგრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავალი საანგარიშო თვის მიხედვით მათ შორის: (17) 0.00

ნაღდი ფულით ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალი (საკონტროლო-საღარო აპარატის ბრუნვა): (18) 0.00

პოს-ტერმინალით მიღებული შემოსავალი (19) 0.00

უნაღდო ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალი (პოს-ტერმინალით მიღებული შემოსავლის გარდა): (20) 0.00

სხვა შემოსავალი (მათ შორის განვლილი მომსახურების ღირებულება, რომელიც არ იბეგრება გადახდის წყაროსთან, ბარტერი, ჩგდ და სხვა): (21) 0.00

საქონლის მიწოდებით/მომსახურების განვითარებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომლის საკომპენსაციო თანხა არ არის ანაზღაურებული მიმდინარე საანგარიშო პერიოდში: (22) 0.00

საანგარიშო პერიოდში შესამცირებელი დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც წინა საანგარიშო პერიოდის მიხედვით დაბეგრულია საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებამდე: (23) 0.00

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მიღებულია ავანსა: (24) 0.00

დაბეგრისაგან გათავისუფლებული დასაბეგრი შემოსავალი (25) 0.00

კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი მათ შორის (26) 0.00

აჭარის ა.რ.რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი: (27) 0.00

აფხაზეთის ა.რ.რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი: (28) 0.00

ინფორმაციისთვის (29) 0.00

კალენდარული წლის დასაწყისიდან გაცემული ხელფასი ნაზარდი ჯამით

ბეჭდვა შენახვა წაშლა

შემდეგ

მე-16 სტრიქონი ივსება ავტომატურად მე-15 სტრიქონის მონაცემების გათვალისწინებით და განაკვეთი შეადგენს 1%-ს ან 3%-ს.

მე-18 სტრიქონში აისახება ნაღდი ფულით ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალი (საკონტროლო-საღარო აპარატის ბრუნვა)

22-ე, 23-ე და 24-ე სტრიქონები ივსება იმ შემთხვევაში თუ პირი შემოსავლებს და ხარჯებს აღრიცხავს დარიცხვის მეთოდით.

27-ე და 28-ე სტრიქონებში მიეთითება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, აჭარის ან/და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მოიცავს ფიზიკური პირის მიერ აჭარის ან/და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადს.

21-ე სტრიქონში შეიტანება სხვა ფორმით მიღებული შემოსავალი (მათ შორის, გაწეული მომსახურების ღირებულება, რომელიც არ იბეგრება გადახდის წყაროსთან), რომელიც არ არის ასახული 18-20 სტრიქონებში (ბარტერული ოპერაციით მიღებული შემოსავალი, ჩგდ-ით მიღებული შემოსავალი და სხვა).

29-ე სტრიქონი საინფორმაციო ხასიათისა და მასში მიეთითება კალენდარული წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდის ჩათვლით გაცემული ხელფასის ოდენობა ჯამურად.

25-ე სტრიქონში შეიტანება სსკ-ის 82-ე მუხლის შესაბამისად საშემოსავლო დაბეგრისაგან გათავისუფლებული დასაბეგრი შემოსავლის ის ნაწილი, რომელზეც არ არის გამოყენებული შეღავათი.

26-ე სტრიქონი ივსება ავტომატურად, რომელიც მიიღება მე-17 და 25-ე სტრიქონებს შორის სხვაობის თანხის გამოკლებით მე-16 სტრიქონში მითითებულ განაკვეთზე.

## გზამკვლევი წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია 2026 წლის 9 მარტისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით